მიწოდების ხელშეკრულება N141

თბილისი
20 ივლისი 2017 წ

ერთისმხრივ, **შპს „გურმე"**, ს/კ 404407879 იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის#53, დირექტორის ნინო მამულაშვილის სახით (შემდგომში„მომწოდებელი") და
მეორესმხრივ სსიპ - ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა ს/კ: 202887778 წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი (შემდგომში„მყიდველი"). SPV 553

1. შეთანხმების საგანი

1.1 „მყიდველი" და "მომწოდებელი" თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, "მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიმდინარე წლის 25 ივლისის 13:00 ზე , წინასწარ შეთანხმებულ მისამართზე მიაწოდოს "მყიდველს"პროდუქცია ხელშეკრულების შესაბამისად. თავის მხრივ "მყიდველი" იღებს ვალდებულებას დროულად და ჯეროვნად გადაიხადოს საქონლის შესყიდვის საფასური.

2.გადახდის პირობები

2.1 გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.
2.2 მყიდველის მიერ შესყიდული საქონლის საფასურის გადახდა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

3. გადახდის პირობა:

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მომწოდებელი მყიდველს მიაწვდის პროდუქციას, ხოლო მყიდველი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული პროდუქციის საფასურს გადარიცხავს მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე პროდუქციის მიწოდებიდან 30(ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.
3.2. მყიდველის მიერ თანხის, ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

4. კონფიდენციალურობა

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალურად და არ გაუმხილონ ისინი ნებისმიერ მესამე პირს ამისათვის წინასწარ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. სხვა პირობები

5.1. მხარეები ადასტურებენ,რომ შეთანხმების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას;
5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მისი პირობების სრულ შესრულებამდე.
5.3. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, ერთი თვით ადრე მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების

საფუძველზე.

5.4. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით; თუ მოლაპარაკება ვერ შედგა, საქმე გადაეცემა საქართველოს სასამართლოებს;

5.5. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

5.6. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა

ს/კ: 202288778

იურიდიული მისამართი: შარტავას 20

დირექტორი: თეონა ყაჭეიშვილი

---------თ. ყაჭეიშვილი----

მომწოდებელი:

შპს ,,გურმე''

ს/კ 404407879

მისამართი: ზ. ფალიაშვილის #53

დირექტორი: ნინო მამულაშვილი